საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი 4 თებერვალი, 2015 წელი

განკარგულება № 17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2014 წელში გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2014 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე განსახილველი ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2014 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი2. კომისიამ მეტი ყურადღება დაუთმოს საკრებულოს მიერ დასამტკიცებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ექსპერტიზას, დასკვნების მომხადებას, საკრებულოს სხდომებზე პროცედურული ნორმების დაცვას, კენჭისყრის კანონმდებლობით განსაზღვრული წესების მიხედვით ჩატარებას.

მუხლი3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: **დავით დარჩია**